ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N7

15.04.2022 *ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
14:00 საათი *ოთახი 3-01*

მიმდინარე წლის 15 აპრილს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი), **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი) და **ირაკლი ეძგვერაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში"** *(საფუძველი წერილი N12-032205940-03; 28.02.2022 წელი);*
   მომხსენებლები - ლევან მიქავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
   ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ ინფორმაცია კომისიას, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელებმა წარუდგინეს.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 1 201,097.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 228,087.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 102.2%-ია. აქედან ძირითადი შემოსავლებია ქონების გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი, ადგილობრივი გადასახადები. ქონების გადასახადი შესრულდა 101,5%-ით, ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადი 102,9%-ით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტები 201,131.6 ათასი ლარი, რომელიც მიმართულია კაპიტალური დანახარჯებისთვის, შესრულდა 98%-ით. საანგარიშო პერიოდში, სხვა შემოსავლებისთვის განსაზღვრული 199,667.4 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 209,701.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 105%-ია.

გადასახდელების ნაწილში გვაქვს შემდეგი სურათი, ჯამში ბიუჯეტის გადასახდელები შესრულდა 96.2%-ით. აქედან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 338,700.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97%-ია; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 210,337.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.8%-ია; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 165,471.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.6%-ია; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 6,421.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.3%-ია; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 39,541.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.9%-ია; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 155,988.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია; განათლება - 174,139.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.3%-ია; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 33,270.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 86.3%-ია; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 4,457.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია; თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 94,443.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.8%-ია. ბიუჯეტის შემოსულობებიდან გადაჭარბებით შემოსული თანხები და აუთვისებელმა ნაწილმა ჯამში შეადგინა 74,000.0 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტის პირველივე ცვლილებაზე იქნა შემოტანილი და გადანაწილდა საკრებულოსთან შეთანხმებით, სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, პირველ რიგში ყურადღებას გავამახვილებ იმ პროექტებზე, რომლებიც რიგი მიზეზების გამო ვერ დასრულდა 2021 წლის განმავლობაში და გაგრძელდება 2022 წელს, ასეთი მასშტაბური პროექტები გახლავთ მულტიფუნქციური ცენტრები ვარკეთილსა და დიდ დიღომში, რომლებიც პანდემიიდან გამომდინარე გაძვირებული სამშენებლო მასალების გამო გაჭიანურდა. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ შემუშავდა პანდემიისგან დაზარალებული კომპანიებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები, რის ფარგლებშიც დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის კონტრაქტორი კომპანია მიიღებს კომპენსაციას ფასთა კორექციის და დაექსპერტებული დოკუმენტაციის შესაბამისად, პროექტი დასრულდება მიმდინარე წლის ზაფხულში. რაც შეეხება ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობას ამ ეტაპზე მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის შესაბამისად და დასრულდება დეკემბრის თვეში. უახლოეს მომავალში ქალაქს შეემატება ახალი სკეიდ სივრცეები, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა. ასევე იგეგმება ლილოში სპორტული კომპლექსის მოწყობა. ვაკის რაიონში მულტიფუნქციური ცენტრისთვის გვაქვს შერჩეული ტერიტორია, რომელიც თოფურიას ქუჩაზე მდებარეობს, ძველი მუნიციპალური შენობაა, თავშესაფრის მაძიებელი რამდენიმე ოჯახია დარჩენილი და ვფიქრობთ უახლოეს მომავალში

მათ დააკმაყოფილებენ საცხოვრებელი ფართით. ვაპირებთ საკრებულოს რამდენიმე პროექტის ინიცირებით მოგმართოთ, ერთი პროექტის სახელწოდებაა ,,სპორტი უფროსი თაობისთვის", რომელიც წინასაარჩევნო დაპირებაში იყო ჩადებული და გულისხმობს 60-წლიდან თბილისში მცხოვრები პირებისთვის ყველა მუნიციპალური სპორტული სერვისი იყოს ხელმისაწვდომი უსასყიდლოდ. მეორე პროექტი კი გულისხმობს მუნიციპალური სპორტული ცენტრების სრულად ადაპტაციას, როგორც ეტლით მოსარგებლეთათვის ასევე ყველა სხვა შეზღუდული საჭიროების მქონე პირებისთვის და პარასპორტის ცენტრის გარდა დედაქალაქში გაჩნდება სხვა ადაპტირებული სპორტული სივრცეები.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი მიმდინარეობდა 2021 წლის განმავლობაში, ზოგიერთი მათგანი 2022 წელსაც გაგრძელდება. 2017 წლის შემდეგ კომისია მონიტორინგს უწევს ყველა ქვეპროგრამას, რომელიც შემხებლობაშია ჩვენს სამუშაო თემატიკასთან. პანდემიის გამო ბევრი რამ ისე ვერ წარიმართა, როგორც დაგეგმილი იყო, დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები კი, 2022 წელს დასრულდება. ვფიქრობთ გავმართოთ მორიგი სამუშაო შეხვედრა რაიონულ გამგეობებთან და მოვისმინოთ მათი ანგარიში შესრულების ნაწილში, თუ რამდენი სპორტული მოედნის და სატრენაჟორო სივრცის მოწყობა იყო დაგეგმილი და რამდენი მოეწყო.

ნინო კვიტაიშვილი - მულტიფუნქციური ცენტრი რამხელა დატვირთვაზეა გათვლილი, დიდი დიღმის განაშენიანებიდან გამომდინარე მოსახლეობის რიცხვი საკმაოდ მზარდია. სინქრონული ცურვის სახეობა რა მდგომარეობაშია, რამდენად მოთხოვნადია სპორტის ეს სახეობა.

ვლადიმერ ბოჟაძე - მიხარია, ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი, რომ განხორციელდა და ხორციელდება დედაქალაქის მასშტაბით. სკეიტბორდის ფედერაციასთან თანამშრომლობა ძალიან აქტიურად მიმდინარეობს, მოლოდინია, რომ 2024 წლის ოლიმპიადაზე სკეიდბორდში სპორტსმენებმაც მიიღონ ოლიმპიური ლიცენზია, დიდ წილად სწორედ თბილისის მერიის დამსახურება იქნება. კარგია ღია სკეიდ სივრცეები, მაგრამ მნიშვნელოვანია თუნდაც ერთი დახურული სკეიდ-პარკის მოწყობა. ასევე წყალში ხტომის მიმართულებაზე ბაზა იქნებ იყოს მოწყობილი, ასეთი სპორტული ინფრასტრუქტურა ფაქტიურად არ გვაქვს, თუ გავითვალისწინებთ აუზების პროექტირებისას კარგი იქნება.

ირაკლი გვილავა - მულტიფუნქციური კომპლექსის დატვირთვის მაჩვენებელი 7-დან 10 ათას ბენეფიციარს შეადგენს. დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის პროექტის ფარგლებში გამოიცვლება მიმდებარედ გარე განათების სისტემა, სანიაღვრე სისტემა შეიცვლება და მოხდება მისი დაერთება ცენტრალურ სისტემაზე, ასევე მოეწყობა საპარკინგე სივრცე. პარალელურად მიმდინარეობს ინვენტარის შეძენაზე ტენდერის მომზადება. სკეიდ ზონის მოწყობა იგეგმება დამატებით ორ მისამართზე, ერთი მისამართი ვარკეთილია, ხოლო მეორე მისამართებზე მიმდინარეობს მოკვლევა და ტერიტორიების შესწავლა. დიახ, დიღმის მასივში

გადმოცემული ობიექტისთვის აუზის პროექტი უნდა შევიძინოთ, მონახაზში გვაქვს საცურაო აუზთან ერთად კალათბურთის დარბაზი და ყინულის მოედანი მოეწყოს. ა(ა)იპებში იგეგმება დაბალი ხელფასის მქონე თანამშრომლებისთვის 10-15%-იანი სახელფასო ზრდა, დამუშავებული გვაქვს შესაბამისი ვერსია, ველოდებით საფინანსო სამსახურთან კონსულტაციას და საკრებულოში წარმოვადგენთ პროექტს განსახილველად. თბილისში ასევე არ გვაქვს ყინულის მოედანი და შესაძლებელია დიღმის ძველი დარბაზის პროექტირებისას აუზის შესაბამისი სიღრმის, სიმაღლიდან ხტომაში აუცილებელი სტანდარტების და ყინულის მოედნის მოწყობა.

გიორგი ჩაკვეტაძე - რაც შეეხება სპორტულ და ახალგაზრდულ პროგრამებს, გვაქვს შემდეგი შესრულების მაჩვენებლები: უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში შესრულდა 99%-ით; უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში შესრულდა 98.2%-ით; სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა შესრულდა 94.9%-ით; მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე შესრულდა 93.3%-ით; სპორტის განვითარების ხელშეწყობა შესრულდა 80.1%-ით; სპორტული ღონისძიებები შესრულდა 99.2%-ით; მწვრთნელთა მხარდაჭერა შესრულდა 100%-ით; სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია შესრულდა 29.8%-ით; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება შესრულდა 70.5%-ით; წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება შესრულდა 99.7%-ით; პარასპორტის განვითარება შესრულდა 92.4%-ით; ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსება შესრულდა 96.5%-ით; ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი შესრულდა 83.3%-ით; თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება შესრულდა 91.8%-ით; კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში შესრულდა 97.2%-ით; კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში შესრულდა 78.6%-ით; მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით 2022 წელს გვაქვს ორი მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოები და ორი ახალი ცენტრის საპროექტო სამუშაოები. ასევე ასათიანის ქუჩაზე სპორტული ცენტრის მოწყობის სამუშაოები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში" გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე